№ 178 აგვისტო 17, კვირა 1886 აგვისტო 17, კვირა № 178

გაზეთი ღირს

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 7 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ტფრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

**გაზეთი „ივერია“ ჭ-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.**

ტფილისი, 16 აგვისტო

ღალისა*) და სამსახურის უცვალებლობა მიწის მფლობელობაში—შეხუთვაა და შეზღუდვა პირადის ხელშეუხებელის საკუთრებისა და ცოტად თუ ბევრად ფეხის წინ წადგმაა, გაძლიერებაა საკუთრების ზოგადის ელემენტისა. ამიტომაც ვსთქვით წინად, რომ ზოგადმა ელემენტმა საკუთრებისამ ბინა დაიდვა იმ გვარ მიწათ-მფლობელობაში, რომელსაც ჩვენში ხიზნობა ჰქვიან და ამ გვარ მფლობელობას მიწისას შეეკედლა. რადგანაც პოლიტიკური წყობილება ყოველის ერისა უწინ,—ნამეტნავად საშუალო საუკუნოებში საფრანგეთის დიდ რეოლიუციამდე და თითქმის 1848 წლამდეცა,—რჯულმდებელობაში მონაწილეობას და ხმას მარტო მამულის პატრონებს აძლევდა, ამიტომაც—რაცა თქმა უნდა—მამულის პატრონებისათვის პირადად სახეირო არ იყო რჯულითა და კანონით ხელი მოეწყო ამისთანა გაძლიერებას საკუთრების ზოგადის ელემენტისას. აი მიზეზი, რის გამოც არც ერთს რჯულდებულებაში—რომელი ერი და ქვეყანაც უნდა აიღოთ—ვერ იპოვნით კანონს, რომ ეს ღალისა და სამსახურის უცვალებლობა და ერთობ ხიზნობა თავის მფარველობის ქვეშ მიეღოს და რჯულად დაედვას. პირ-იქით, საცა შემთხვევა მიზეზს აძლევდა, რჯული, კანონი სდევნიდა ხსენებულს მიწათ-მფლობელობას და ყოველთვის სამართლის სასწორს პირადის საკუთრებისაკენ დაჰხრიდა ხოლმე. ამ გვარი მფლობელობა კი, ცხოვრების ვითარებისა და საჭიროების გამო, მაინც არსებობდა და ეს არსებობს დღესაც. მერე რამოდენა ხანია რაც არსებობს? დასაწყისი მისი, როგორც წინადაცა ვსთქვით, მეცნიერთა აღმოაჩინეს თითქმის ისტორიის საშუალო ხანის პირველ საუკუნოებში. ასეთი გახანგრძლივობა არსებობისა ცხადად გვიმტკიცებს, რომ, რჯულსა და კანონს გარეშე დაშთენილს მფლობელობას სხვის მიწისას რაზედმე უნდა ჰქონოდა ფეხი გამაგრებული, [illegible] რონა, რაიმე უნდა ფარად შეჰქმნოდა. ეს „რაიმე“ ჩვეულებაა, რომელიც ჩვენს საქართველოს ერსა რჯულთ უმტკიცესად მიაჩნია სამართლიანად.

აი მესამე მხარე ხიზნობისა; იგი ჰფარველობდა თავდაპირველს მორიგებას ხელისას და მიწისას, როგორც ჩვენში, ისეც ყველგან სხვაგან; იგი იყო ის დაუწერელი სიგელი, რომლის ძალითაც ერთიმეორეს პირობას უსრულებდა. ამის გამო იგივეა ნიშანი, რომლის მიხედვითაც უნდა განირჩეოდეს ხიზნობა ყოველ სხვა გვარ მიწის მფლობელობისაგან. საცა სხვისა მიწის ხანგრძლივი ხმარება ჩვეულებაზედ არ არის დამყარებული, და სხვა რაზედმე, მაგალითებრ, ქაღალდზედ დაწერილს ხელშეკრულობაზედ, იქ ხიზნობა არ არის.

ჩვეულება ერისათვის იგივ რჯულია, იგივ კანონია, მხოლოდ დაუწერელი კი. ჩვეულებას იგი უპირატესობა აქვს დაწერილს კანონის წინაშე, რომ ყოველთვის ცხოვრების ჭეშმარიტის საჭიროების დანაბადია და ყოველთვის უტყუარი წამალიც არის ამ საჭიროებისა, თუ ყოველს დროს არა, პირველ ხანებში მაინცა. ეს ხომ ასეა. მაგრამ ერთი არსებითი ღირსება დაწერილის კანონისა კი აკლია. დაწერილი კანონი, მარტო იმით რომ დაწერილია, მინამ არის ისეა, რომ არას მიიწებებს, არას აიკრავს ზედ, რასაც აჩენს და ჰბადავს ხოლმე ხშირად ხარბი ინტერესი წუთისა. ჩვეულება ამისაგან თავისუფალი არ არის, კანონი კი თავისუფალია. აი დიდი ღირსება კანონისა, რომელიც ჩვეულებას აკლია.

აი ამ უპირატესობამ ჩვეულებისამა ერთის მხრით და იმ ნაკლმა, რომ მას დაწერილის კანონის ღირსება არა აქვს მეორეს მხრით და მესამეს მხრით იმ გარემოებამ, რომ ზოგადი ცხოვრება წარემატა, დამოკიდებულება ერთმანეთზედ უფრო მრავალ გვარი და რთული შეიქმნა, უფრო ერთი ერთმანეთს გადაებ-გადმოება და დაიხლართა,—ყოველ ამანა ამ ბოლოს ხანებში იძულებულ ჰქმნა ზოგიერთი სახელმწიფო ევროპისა სახე დაწერილის კანონისა მიეცა იმ ჩვეულებისათვის, რომელიც ხსენებულს მიწათ მფლობელობას შეეხებოდა. ეს იძულება და მიმართულება რჯულ-მდებლობისა, რომ ჩვეულება დაწერილ კანონად იგურთხოს, გამოითქვა მით, რომ გოლანდიაში რჯულად დაიდვა ბეკლემ-რეხტი, პორტუგალიაში აფორამენტო, ინგლისში ოლსტერის ჩვეულება, რომელიც, თითქმის მთლად ჩვენებურის ხიზნობის ავ-კარგიანობით, სახელოვანმა გლადსტონმა სარჩულად დაუდვა ეგრედ-წოდებულს ირლანდიის [illegible] მამულთა ბილის 1872 წელსა. რუსეთში კი მთავრობამ „ჩინში“ უარ-ჰყო.*)

თუმცა სხვა ქვეყნებმა ესევე არა ჰქმნეს ჯერ, მაგრამ ცხოვრების მოთხოვნილება და მოძრაობა, ამ მხრივ მიდრეკილი და მიმართული, ყველგან თავს იჩენს. ამიტომაც დღეს ეგ მოთხოვნილება და მოძრაობაა საგანი სახელმწიფო მართველობის მზრუნველობისა ყველგან საზოგადოდ და ჩვენში განსაკუთრებით. განსაკუთრებით ჩვენშიო, ვამბობთ, იმიტომ-რომ აქ, გარდა საზოგადო მოძრაობისა, საკუთარნი კერძო მიზეზნიც არიან, მით არა ნაკლებ მწვავნი, და ეს მიზეზნი უფრო მეტად სასურველადა ჰხდიან დაუწერელის კანონის დაწერილ კანონად გარდაქმნასა ჩვენში.

---

*) „ღალას“ ჩვენს წერილებში იმ აზრით ვხმარობთ როგორც „რენტა“.

*) „ჩინშების“ საქმე წელს ამ სულ ახლო ხანებში დააბოლოვა მთავრობამ და თუ საჭიროდ აღმოჩნდა, იქნება ჩვენს მკითხველებს გაცნობოთ, რა რიგად გათავდა ეს საქმე.

## ახალი ამბავი

⁂ კახეთიდამ გვწერენ: „კალოობა უკვე გათავდა კახეთში. მიწის მოსავალი: პური, ფეტვი, ქერი ბლომად მოვიდა. ვენახებიც ძლიერ კარგად არის. ამ დღეებში მშვენიერი ქუქუნა წვიმა მოვიდა და სიცხისაგან დამწვარი ვაზები გაანედლაო. ყურძენს თვალი შეუვიდა. თუ ცა დაუმშვიდდა კახეთსა, ღვინის მოსავალი კარგი იქნება წელსაო.“

⁂ ქალაქ ახალ-ქალაქიდამ გვწერენ: „ს. ბულაშენში, ახალ-ქალაქის მაზრაში, ერთი სომხის დედა-კაცი

## ფელეტონი

### საკვირაო სხარტულა

როგორი გამოდგა ეს თთვე?—ბ-ნი მურიეს გაკრიტიკოსება და ორიოდე ნიმუში ამ „კრიტიკოსობისა.“ — რით გვინდა გავაცნოთ ბ-ნი მურიე საზოგადოებას.—-მცირეოდენი „რეცეპტი.“ —ორიოდე სიტყვა ბ-ნს ხუმარას.—რა დანაშაულობა მიგვიძღვის თურმე ჩვენ ბ-ნ „ბათუმელ კორრესპონდენტის“ წინაშე? — პასუხი „პასუხის“ გამო.

საკვირველი რამ გამოდგა ეს უკანასკნელი თთვე! სადაც მიხვალ და მიიხედავ, რამე უცნაურს გაიგონებ, რამე ახირებულს მოჰკრავ თვალს, ასე რომ მოულოდნელი მოსალოდნელი გახდა და შეუძლებელი შესაძლებელად აღიარეს დღეს! პაწია და უსახელო მურიე ეპოტინება და ემუქრება დიდებულს და სახელოვანს შოთას, საბრალო მცვრეველი საქართველოს ლიტერატურის წალკოტში ეკამათება პოეზიის გოლიათს, თიხის წუნწუბა ეტუზება მესროპის პირამიდას!!. ეს კიდევ არაფერი! მეცხრამეტე საუკუნის მიმომავალი ფრანგი ზნეობას უგინებს სათნოს თამარს, მარტივი და განუყოფელი უმეცრება ორად ჰყოფს ერთს დავით სოსლანს*) და შემდეგ, პარიჟელის ბულვარების დიაცთა სანუგეშოდ, დავითს ქმრად აძლევს მშვენიერს მეფას და სოსლანს საყვარლად უსახავს მასვე!.. კიდევ უარესი! ამ მტკნარს უგვანობს მტკნარივე უმეცრება სიბრძნედ ჰსახავს, სწერს, ჰბეჭდავს და თამამად ჰყიდის ტფილისის—გესმისთ თუ არა?—ტფილისის ქუჩებზე!

⁂

მე კარგად ვიცი, რომ ერთ-გვარის თავ-მოყვარეობის გამო, ათინელმა უგუნურმა დასწვა მშვენიერი ტაძარი, ვიცი ისიც, რომ „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე წარმოსდინდების,—მაგრამ ბ-ნ მურიეს თამამობა მაინც ჰთხოულობს ჯეროვანს ჯილდოს. საჭიროა მივუზღოთ კეისრისა კეისარსა და თავ-აღერილი უმეცრება ჩავაყენოთ მისსავე კალაპოტში. ამისათვის—ნუ შეწუხდება მკითხველი! —ჩვენ არ ჩავუდგებით კვალში ბ-ნ მურიეს ‹კრიტიკას›,—ეს ხომ დიდი პატივისცემა იქნებოდა „კრიტიკოსისათვის“ და არა ნაკლები შეურაცხყოფა რუსთაველის სახელისათვის—ჩვენ მოვნახავთ სხვა გზას მის განსადიდებლად კიდით-კიდემდე. ბ-ნს ‹ტარტარენს ტარასკონიდამ›, მას აქედ რაც იგი დაბრუნებულა ალჟირიდამ და სადაც მას, რასაკვირველია, მხნედ დაუხოცავს ურიცხვი ლომები, დაუწერია ჩვიდმეტი ‹სამეცნიერო თხზულება›, აი, ამ „თხზულებების“ შესწავლით და გარჩევით შეიძლება იცნოს და გამოიძიოს კაცმა თვით ბ-ნი მურიეს ვინაობა. ნურავინ იფიქრებს ოღონდ, რომ ზემოხსენებულ ‹სამეცნიერო თხზულებათა› შესწავლა და გარჩევა ძნელი იყოს გაზეთის მეფელეტონესათვის. „ისე საშიში როდი არის ეშმაკი, როგორც მას ჰხატვენო“, ამბობს ერთი რუსული ანდაზა და ბ-ნი მურიეს ‹მეცნიერობა› ხომ არც არავისა სწამს მის გარდა. ესეც რომ არ იყოს, განა ძნელი მოსაფიქრებელია ის „რეცეპტი,“ რომელიც საკმაოა ბ-ნი მურიეს გამოსაქანდაკებლად მისი ‹თხზულებების› შემწეობით? ეს ‹თხზულებანი›

ჩვიდმეტივ ქვაბში ჩაუშვი,
წყალი დაასხი ზედ მდგრიე,
ხახვით შეკაზმე, ბოლოკით,
ჩოგანი მალ-მალ ურიე,—
დომხალი რამე გამოვა,
ან „კრიტიკოსი“ მ . . . .!...

ერთის სიტყვით, ჩვენს მკითხველებს შეუძლიათ მოემზადონ სიცილისათვის როცა ჩვენ მოვიცლით ცოტაოდენს და მასხრობის გუნებაზედაც ვიქნებით, ჩვენ არ დავაგდებთ უყურადღებოდ ბ-ნ ტარტარენის ღვაწლს... თავისი ჯიბის სასარგებლოდ...

⁂

მანამდის კი მივუბრუნდეთ ისევ ძველს ნაცნობებს. ‹ივერიის› მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამას წინედ, ბათუმიდამ და ქუთაისიდამ გამოგზავნილ წერილებისა გამო, ჩვენ შევეხეთ ეგრედ წოდებულთ ‹ქართველ არტისტების› უმსგავსო საქციელს. ჩვენმა ფელეტონმა გამოიწვია ორი საპასუხო წერილი ბათუმიდამ და, რადგანაც ამ წერილებზე ჩვენ არაფერი გვითქვამს,—ვინ იცის, შეიძლება ეს ხმის ამოუღებლობა ‹ენდრონიკათ› ითვლებოდეს ჩვენზე. ამისათვის, ვასწორებთ ჩვენს შეცდომას და პასუხს ვაძლევთ მასზე, რაც, გულწრფელად რომ სთქვას კაცმა, არც კი არის პასუხის ღირსი...

⁂

— რასში მამტყუნებენ მე ბათუმელი კორრესპონდენტები?

ბ-ნი ხუმარა (იხ. „ივერიის“ № 165), რამოდენიმე ზრდილობიანის და თავაზიანის სიტყვების შემდეგ ჩვენდა შესახებ (ამ „კომპლიმენტებს“ ჩვენ როცა იქნება სარგებლით დავუბრუნებთ ბ-ნ ხუმარას),—ცოტა არ იყოს დაცინვით ბრძანებს:

> „პროვინციალურის გულ-წრფელობით მოგდით ტფილისელს ქართველებს, თუ ტფილისურის გულ-წრფელობით, რომ იმ ქართველ არტისტებს, რომელნიც წელს ჩვენ, ბათუმელებს, გვაწყვენ, ფულსაც აძლევთ, მათ მიერ გამართულ წარმოდგენებსაც ესწრობით, მათთან შეთვის-შეჰხორცებულხართ, თუმცა გაზეთებშიაც შოლტავთ, როცა წარმოდგენა ვერ აკმაყოფილებს ხოლმე თქვენს ესტეტიურს გემოვნებას და შეხედულობას?! რომელი ევროპიელი არტისტები გყავთ ტფილისელს ქართველებს, თუ არ იგივე მოხევე, ანდრონიკოვისა, საფაროვისა, ‹კომიკოსი არუთინ ზიმზიმოვი›? რად აძლევთ ამ არტისტებს ფულებს, რად ეგდებინებით მასხარად, რატომ არ ჰთაკილობთ ამისთანა არტისტებს, „რატომ დამპალ კიტრებს“ და „მკვდარ კატებს“ არ ესვრით, რად უშლით მათ უბე-კალთას, როცა მთელი წელიწადი იგივე არტისტები თქვენთან არიან და თქვენ წინ გამოდიან სცენაზე?..“

ხუმარა კაცი რომ არ იყოს ბ-ნი ხუმარა და ჩვენც რომ არ ვიცოდეთ კარგად ფასი მარილიანის ხუმრობისა, ზემო-მოყვანილს ტირადას ცოტა არ იყოს ულოგიკობას შევწამებდით. „ფულს აძლევთ ქართველ არტისტებს“, ‹მათ მიერ გამართულ წარმოდგენებსაც ესწრობით›, „მათთან შეთვის-შეჰხორცებულხართ“, ‹გაზეთებშიც შოლტავთ›, ‹უბე-კალთას უშლით მათ›, „დამპალ კიტრებს“

---

*) აქ უნდა იგულისხმებოდეს ნამდვილი დავით სოსლანი—თამარის ქმარი და არა „ახ. მიმოხ.“ თანამშრომელი. იგი სხვაა, იგი სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი,—იმ გვარივე მზღვარი, რომელიც არსებობს ბ-ნ მურიეს და შოთა რუსთაველის შორის.

შენიშვნა ასოთ-ამწყობისა

გაუქრიათ და ბაში ისე უშობინებიათო. მშობიარე ქალი მომკვდარაო. რამდენად მართალია ეს ამბავი, ნამდვილად არ ვიცითო.“

⁂ იქიდამვე გვწერენ: ყაჩაღი ჰუროშან-მოლა-ოღლი გუშინ, მარიამობისთვის 8-სა, ერთს ჩაფარს დაუჭრია, ჩაფარიც დაჭრილა; დაჭრილი ყაჩაღი ველარ უპოვნიათო; ნაბადი და ცხენი კი ყაჩაღისა ახალ-ქალაქის მაზრის უფროსთან წარუდგენიათო. იმედია, რომ ამ ყაჩაღს მალე შეიპყრობენ. ხალხს ძალიან გაეხარდა, რომ დასჭრეს მათი შემაწუხებელი და შიშის ზარის დამცემიო.

⁂ ელადიკავკავიდამ გვწერენ: ელადიკავკავის მაზრის მინდვრის ოსეთში მშვენიერი პურისა და ქერის მოსავალი მოვიდა. ხალხი სიხარულით ფეხზე აღარ იდგა და შეჰხაროდა ახლა სიმინდს და ფეტვსა მაგრამ სიხარული ტირილად გადაექცათ. მკათათვის გასულს ასტყდა ერთი საშინელი ქარი (მოხუცებული კაცები ფიცულობენ, ჯერ არ მოვსწრებივართ ამისთანა ქარსაო) მინდორში დადგმული ძნები და თივები სულ მიშალ-მოშალა; ძნები ისე მიჰქონდა ჰაერში, როგორადაც ბურთი. თივის ძირებს, რომელიც 60—70 ფუთი იქნება, ჰგლეჯავდა და ისე ანიავებდა, როგორც ბზესა ვისაც 40—60 ძირი თივა ჰქონდა დადგმული, 20—30 ძირი ველარ მოაგროვა. აგრეთვე პურიცა. ვისაც 30—40 ურმის იმედი ჰქონდა, ოცი ურემი ძნა ველარ მოაგროვა,—რაც დარჩა, იმასაც მარცვალი გააყრევინა. ქარს მოჰყვა საშინელი სეტყვა. სიმინდი და ფეტვი ისე გაანადგურა, რომ მიწასთან გაასწორა. ერთს ქისტების სოფელში ორი პატარა მეცხვარე ბიჭი მოჰკლა. წარსულს კვირაშიაც ორჯელ იყო ქარი, მაგრამ ზარალი არა მოუტანია-რა...

⁂ იქიდამვე გვწერენ: საქონლის ჭირი თან-და-თან ძლიერდება, ელადიკავკავის მაზრის მინდვრის ოსეთში სოფ. ხუმელაგაში არ იყო აქამდინ ჭირი და ეხლა აქაც გამოჩნდა. გასაკვირველი ეს არის, რატომ არ უკრძალავენ ხალხს ჭირიანის საქონლის ხორცის ჭამას; რაკი ცოტა აცივდა, ეხლა რასაც ვერა სჭამენ, ამარილებენ და ზამთრისთვის ჭირიანის საქონლის ხორცს ინახავენო...

⁂ აღდგომის შემდეგ, გაზაფხულდება ხოლმე თუ არა, დაიწყობა სხვა და-სხვა დღესასწაულები, «ხატობა»; ხალხი მიდის „ხატობას“ სალოცავად, სავაჭროდ, სასიამოვნოდ. უწინდელმა „ხატობამ“ ფერი იცვალა: აღარც ჯირითი, აღარც ცხენზე თამაში, „ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ ბრიალი, უზანგთა ცემა, ცხენიდამ ხტომა, კვალად შეხტომა და ხმალთ კრიალი», პოეტისა არ იყოს. დღეს ლოთობამ, ქურდობამ, ჩხუბმა და ათასმა სხვა უგვანმა საქციელმა დაიჭირა ადგილი „ხატობაში“. თუ სოფლად ასე იცვალა ფერი «ხატობამ», სადაც ხალხის სული კვალად ტრიალებს, რასაკვირველია ქალაქებში უფრო იცვლიდა. ტფილისში ამ მარიამობისთვეში სამი დღესასწაული მოდის ზედი-ზედა: სიონობა, 15 მარიამობისთვისას (ღვთის მშობლობა); ანჩისხატობა 16-სა (ხელთ-უქმნელის ხატისა) და ფეთხაინობა 17-სა. ჩვენ დავესწარით „სიონობას“ და „ანჩისხატობას“, კილვა-ძრახვა, ქალების დევნა, მათი შეურაცხყოფა, ჯიბეების ჩხრეკა და სხვა ამ გვარები. რომ ეთავნათ და ეზო ფარნებით გაენათებინათ, მაშინ სულ სხვა ფერი დაედებოდა.

ანჩისხატობამ უფრო მხიარულად ჩაიარა; ფართო ეზო, აღმოსავლეთით დიდი მეიდანი მტკვრამდინ სულ გავსებული იყო ხალხით. გათენებამდინ ღამის-მთეველების კიჟინა და სიმღერა ისმოდა; აქაც კი იყო ჯიბეების ჩხრეკა და ქურდობა, მაგრამ ვერას გახდნენ: ერთს გაზეთები ამოაცალეს, მეორეს ბალკონიდამ ორ-შაურიანი ქამარი და ორ-აბაზიანი პერანგი მოჰპარეს,—ამით გადარჩნენ ანჩისხატის ეზოში მოსიარულენი და მოსახლენი.

⁂ ერთს ნაქეიფარს კაცს დასძინებოდა წუხელის გარედ დუქნის წინ. მიჰპარვოდა ნაცნობი ჯიბგირი, შამოეხსნა ქამარი და მოეჭრა ფულიანი ჯიბე. ჯიბის მოჭრაზე დაბნეულიყო ხურდა ფული და როდესაც ჯიბგირი ჰკრეფავდა ფულს, დაძინებულს გამოეჭყიტა თვალები, ეცნო ჯიბგირი და ეთქვა: «აგროვე, გეთაყვა, და მოიტაო» და ისევ მისძინებოდა. დილით დაეხედნა, რომ აღარც ფული ჰქონდა და აღარც ქამარი, დაიწყო ჯიბგირის ძებნა; „იარმუკაში“ შეხედა და გამოუდგა დანით. ჯიბგირი დასწვდა ქვას და დაარტყა; ხალხი მისწვდა და დანა წაართვეს, გამობრუნდა კინტო-ჯიბგირი და დაარტყა მუშტი,—მუშტს მოპირ-და-პირის მუშტი მოჰყვა და გაიმართა კრივი. ხალხით გაიტენა ქუჩა. თუმცა ჩხუბი ერთი საათი გაგრძელდა, პოლიციელი ბოლოს მოვიდა და წაიყვანა ჯიბგირი პოლიციაში.

⁂ ახალციხიდამ სომხურ გაზ. „მშაკსა“ სწერენ, რომ ახალციხეში 305 ჟურნალ-გაზეთი მოდისო: მუდამ დღიური 96, კვირაში სამჯერ გამოცემული 22, კვირაში ერთხელ გამოსული 86, ორ კვირაში ერთხელ 22, მუდამ თთვიური 79. სომხურ ენაზე: «აღბიური» (პედაგოგიური ჟურნალი) 44, „მშაკი“ 18, ნორ-დარი 14, „არძაგანკი“ 12, „მეღუ-ჰაისტანი“ 3; ქართულ ენაზე: „ივერია“ 9, დანარჩენი რუსულ ენაზეა, რომელთაგან მომეტებულად: «Нива» 23, „Досугъ и Дѣло“ 20, «Кавказъ» 19, Сенат. Вѣдомости 14 და „Новое Обозрѣніе“ 12.

სასურველია ამ გვარი ცნობა შეგვატყობინონ ჩვენმა კორრესპონდენტებმა ქალაქებიდამ და დაბებიდამ.

⁂ არხეოლოგოსი დ. პ. ფურცელაძე საიმპერატორო არხეოლოგიურის კომისიის მინდობილობით კახეთში წავიდა არხეოლოგიურ გამოკვლევათათვის. ფურცელაძეს ივნისისა და ივლისის განმავალობაში გაუსინჯავს ძველი ნაქალაქევი ადგილები: ჭერამი, გრემი და ფსიტის-ციხე და სოფლები ენისელი და ყვარელი, აგრეთვე ნეკრესის მონასტერიც. ფურცელაძეს მოსწონებია ძალიან ნეკრესის მონასტრის მხატვრობა, მაგრამ, საუბედუროდ, ეს მხატვრობა სულ შემურულია სანთლის ალითაო. მთელს მონასტერში ერთი შანდალი არ არის, რომ მლოცავთ სანთლები აანთონ და ისინიც იძულებულნი არიან, კედლებზე მიაკრან და ამითი კი მხატვრობა ფუჭდებაო. სამხრეთის კედელზედ, ეკკლესიაში, დახატულნი არიან მეფე, დედოფალი და მათი შვილიო. ბ-ნს ფურცელაძეს მოუწადინებია იშუამდგომლოს ყოვლად უსამღვდელო საქართველოს ეგზარხოსთან, რომ ნეკრესის ეკკლესიის შემოსავალითვე დასდგან ეკკლესიაში სამი-ოთხი დიდი შანდალი სანთლებისათვის, გაუკეთონ ეკკლესიას კარები, რომ პირუტყვს არ შეეძლოს შესვლა და ეკკლესიის ბანი გაასუფთაონ ბალახ-ბულახისაგანაო.

რაც ძველი ნივთები უპოვნია ბ-ნს ფურცელაძეს იქაურს აკლდამებში, ყველას პეტერბურგში, საიმპერატორო არხეოლოგიურს კომისიაში, ჰგზავ[illegible]

⁂ გაზ. „ნოვ. ობოზ.“-ს სიტყვით, დილის 7 საათიდგან 10-მდე ქალაქის სამკურნალოს წინ მთელი ჯგუფი დგას კაცებისა, ქალებისა და ყმაწვილებისაო. საქმე იმაშია თურმე, რომ «კაცობრიობის მოყვარენი» ცოტა ნებივრობენ, გვიან მობრძანდებიან სამკურნალოში და ავად-მყოფ ღარიბს ხალხს ქუჩაში წვიმასა და ტალახში აცდევინებენო. სამკურნალოს ზედამხედველი ბ-ნი უზბაშევი გარედ ერეკება თურმე ხალხსა იმ საბუთით, რომ იატაკს აფუჭებენ, აჭუჭყიანებენო და ვიდრე ექიმები არ მოვლენ, არ უღებს კარებსაო. საზოგადოდ ბ-ნი უზბაშევი ძალიან ცუდად ექცევა თურმე ქალაქის ღარიბს ხალხს და ხან საქმე იქამდინაც მივა ხოლმე, რომ კარგებსაც უთავაზებს ხოლმე ავად-მყოფებსაო.

⁂ 13-ს აგვისტოს ტფილისში ჩამოსულა ხუთი სამთო ინჟინერი. ეს ინჟინერები ინგლისელები არიან და გაუგზავნია ჩიკაგოს ამერიკულ ფირმას ბაკკეი, ვანდერბილდსა და კომ. თეირანში, რომ იქ რამდენიმე გვირაბი უნდა გაიყვანონ სპარსეთის რკინის-გზისთვის, რომელსაც ეხლა აკეთებენო. ეს ინჟინერები ძალიან გამოცდილები არიანო, როგორც ხმა დადის, ამბობს „ნოვ. ობოზ.“, და მონაწილეობა აქვსთ მიღებული ს.-გოტარდის გვირაბის გაყვანაშიო. 14 აგვისტოს რკინის გზით ბაქოში წასულან.

⁂ ამავე გაზეთის სიტყვით, ავლაბარში გარდაცვლილა გორის მაზრის, სოფ. ზაგინის მცხოვრებელი მანდილოსანი ელისაბედ ივანეს ასული კობერიძე, 111 წლისა. თუმცა ასეთი ხნიერი იყოვო, მაინც თვალთა და ყურთ არ აკლდაო და გარდაცვალებამდე ძალიან ჯან-მრთელად ატარებდა ცხოვრებასაო. წინა კბილებიც კი შერჩენია სიკვდილამდე ამ მოხუცებულსა.

⁂ 12 აგვისტოს სუფსას რკინის გზის სადგურზე რომ გაჩერებულა მატარებელი, რკინის გზის მო-

---

და „მკვდარ კატებს არ ესვრით მათ“ და სხვა-და სხვა... დამეთანხმეთ ბ-ნო ხუმარა, რომ ეს თქვენი ყვედრებანი როგორღაც არ ეკავშირებიან ერთი მეორეს. თუ «ვშოლტავთ გაზეთებში», მაშასადამე არც „უბე-კალთას ვუშლით“, არც «შევთვის-შევხორცებულვართ» და «დამპალ კიტრებს» და „მკვდარ კატებსაც“ ბლომად ვუძღვნით მათ, ვინც მათი ღირსია. ხომ არ ჰფიქრობთ, თქვე დალოცვილო, რომ რა კი „დამპალი კიტრები“ და «მკვდარი კატები» ვახსენე ჩემს ფელეტონში, ნამდვილი „დამპალი კიტრები“ და „მკვდარი კატები“ მქონდა სახეში?! ეს—facon de parler იყო ჩემის მხრით, როგორც იტყვიან ფრანგები, და მხოლოდ ფელეტონური ოხუნჯობისათვის იყო ნათქვამი, თორემ, სხვა რომ არა იყოს რა, რომელი პოლიცია მოგვცემს ნებას, რომ მუდამ დღე «მკვდარი კატები» და „დამპალი კიტრები» ვათრიოთ თეატრში? და კიდეც ნება რომ მოგვცენ, რა ამისთანა სულელები გგონივართ, რომ ჩვენ ჩავიდენთ ამ გვარ საქციელს და, ჩვენის არტისტების საგულისხმოდ, აღვიჭურვებით ზემოხსენებულ საუნჯით? ესეც რომ არ იყოს, როგორ ჰფიქრობთ, რამდენი კატები მოგვინდებოდა მუდამ დღე „სარეცენზიოდ“? ხომ მარტო ბ-ნი მოხევე გააქარწყლებდა მაშინ ყველა ტფილისელს კატებს და ხომ მარტო მისდა ჩასაგონებლად უნდა გაგვევლო მუსრი ამ საცოდავ ცხოველებისათვის? იფიქრეთ, ბატონო, რა შეგვცოდეს ამისთანა კატებმა, რომ მათი თავი ვუმსხვერპლოთ ბ-ნს მოხევესა და ან ეს ბ-ნი მოხევე რა ამისთანა წითელი კვერცხია, რომ ღირსი გავხადოთ ამ გვარის მსხვერპლისა?!

დასასრულ უნდა შევნიშნოთ პატივცემულს ხუმარას, რომ არც ტფილისის ქართველები ეწყობიან მაინც-და-მაინც ეხლა ქართულს თეატრს, არც ფულებს მიეზიდებიან იქ, არც ერთი და არც მეორე. ამაზე და ამის მიზეზების შესახებ ბევრი დაწერილა აქაურს გაზეთებში და მათი განმეორება აქ ჩვენ სრულიად უსაფუძვლოდ მიგვაჩნია...

⁂

სამართალი მოითხოვს, რომ არ დავსტოვოთ უპასუხოდ ბ-ნი „ბათუმელი კორესპონდენტის“ წერილიც, მით უფრო რომ ეს წერილი რამდენადაც სასაცილო, იმდენადაც გასაოცარიც არის ჩვენის შეხედვით. ბ-ნი კორესპონდენტი ამბობს (იხ. «ივერიის“ მე-171 №), რომ იგი „გაოცებულია“, როგორ თუ მე, ილ. ხონელმა, ვსთქვი ჩემს ფელეტონში, რომ ბ-ნი მოხევე პატივს არა სდებს საყვარელ „მწერლების“ ნაშრომს, როდესაც მას, ბ-ნს «ბათუმელს კორესპონდენტს», იგივე ჰქონდა ნათქვამი მხოლოდ ერთის მწერალის შესახებ? ამის გარდა მე, იმავე ხონელს, შემინიშნავს თურმე, რომ «ბ-ნი მოხევე თითქო განგებ იმისათვის მოღვაწეობდეს სცენაზედ, რომ უფრო მოხერხებულად დაამციროს სხვა მწერლების სახელები საზოგადოების წინაშე». ეს სასიკვდილო დანაშაულობა გამოიწვევს დასასრულ „ბათუმელის კორესპონდენტის“ მხრით შემდეგს ახირებულს სიტყვებს:

> „მერწმუნეთ, ბატონო ხონელო, „ბათუმელ კორესპონდენტს“ რომ შეენიშნა მოხევის ზემო-აღნიშნული საქციელი, თქვენ არ გაგრჯიდათ, სხვის წერილში ნაძალადევად ამოგეკითხათ თქვენი აზრები, პირ-და-პირ თვითონ იტყოდა.“

ამ ნაირად გამოდის, რომ ჩვენ, «ბატონს ხონელს», რაღაც არა-სასიქადულო გრძნობა გვქონია ჩამარხული გულში ბ-ნი მოხევეს შესახებ და ამ გრძნობის დასაკმაყოფილებლად ამოგვიკითხნია ბათუმის კორესპონდენციაში იგი, რაც შიგ არ ყოფილა, მაგრამ რაც გამოსადეგად დაგვინახავს მოხევეს დასამცირებლად... ჩვენ არ ვიცით, რა სახელი ვუწოდოთ ამ გვარს იჭვიანობას? მაგრამ, ეჰ, ვიხმარებთ სულ-გრძელებას და სრულიად გულდადინჯებით ვუპასუხებთ ბ-ნ კორესპონდენტს მის წერილის შესახებ:

⁂

ჩვენ მივეცით ბ-ნ „ბათუმელის კორესპონდენტის“ სიტყვებს ზოგადი ხასიათი, მისთვის რომ კარგად ვიცნობთ ბ-ნს მოხევეს და მის ერთს საქციელში დავინახეთ იგივე, რასაც მუდამ დღე ვხედავდით აქ, ტფილისში. ის, ვინც ერთს «საყვარელს მწერალს» ეპყრობა უპატიურად, არც სხვას დაინდობს და, მაშასადამე, „მწერალი“ თუ „მწერლები“ აქ სულ ერთია. ამის გარდა, ბ-ნი მოხევე, როგორც ყველამ იცის, ბევრს პიესებში თამაშობს და მაშასადამე ბევრს ავტორებსაც მტერობს, და თუ «ბათუმელს კორესპონდენტს» რომელიმე ფაქტიდამ დასკვნის გამოყვანა არ ეძნელება, იგი ამას კარგად დაინახავდა მოხევეს ერთის თამაშიდამ და ასე წინდაუხედავად არ გამოილაშქრებდა ჩემზე. სრულიად იგივე ითქმის ჩემს დასკვნაზედაც, რომ ბ-ნი მოხევე თითქო იმისთვის იღვწის სცენაზე, რომ უფრო მოხერხებულად დაამციროს სხვა-და-სხვა მწერლები-თქო. ეს თავის თავად გამოდის, სხვათა შორის, ბ-ნი კორესპონდენტის წერილიდამ და დასკვნის გამოყვანა ხომ, მგონი არავისთვის არ არის აკრძალული...

⁂

ხოლო რაც შეეხება ბ-ნი კორრესპონდენტის ჩივილს, რომ ვითომ ჩვენ „ნაძალადევად ამოგვეკითხოს მის წერილში ჩვენი აზრები“, საჭიროა მოვახსენოთ აქ ბ-ნ კორრესპონდეტს, რომ ეს უგვანი საქციელი ჩვენთვის სრულიად უსარგებლო იქნებოდა, კიდეც რომ ჩაგვედინა. ჩვენ არავითარი პირადი ანგარიში არა გვაქვს ბ-ნ მოხევესთან და შეგვიძლია ვსთქვათ აშკარად,—არც გვექმნება არასოდეს. თუ ჩვენ ვსწერდით და ვსწერთ მის წინააღმდეგ, ამის მიზეზი სამნაირია: ერთი რომ ეს ჩვენი ვალდებულობაა, მეორე—გვებრალევის საზოგადოება და მესამედ—გვეცოდება თვით ბ-ნი მოხევე. უკანასკნელის ჭაპან-წყვეტა იმ საქმეში, რომელიც მას არ შეჰფერის და რომლისათვისაც მას ნიჭი არა აქვს, მძიმე ტვირთად აწვება საზოგადოებას და ეს ორი გარემოება გვაიძულებს ჩვენც მივაქციოთ მათ ყურადღება.

თორემ ეს რომ არ იყოს, რა ამისთანა გოლიათია ბ-ნი მოხევე, რომ მასთან საკამათოდ გამოგვეწერა ქომაგი ბათუმიდამ, ან და რა ავტორიტეტია თვით ბ-ნი „ბათუმელი კორრესპონდენტი“, რომ ამოვეფაროდით მას ზურგს უკან? ჩვენი საკუთარი ტყვია-წამალი სრულიად საკმაოა, რომ თამამად გავემკლავოთ პირველს, როცა ეს საჭირო იქნება, და არ მივმართოთ დასახმარებლად მეორეს, ვისიც მამაცობა და მოხერხება არაფრით არ არის ჯერ დამტკიცებული. კარგი იქნება სამერმისოდ დაიმახსოვრონს ეს ბ-ნმა „ბათუმელმა კორრესპონდენტმა“ და ჩემ მაგიერ აუხსნას მასაც, ვისიც თხოვნითაა დაწერილი მისი ახირებული „პასუხი“...

ილია ხონელი

სამსახურეებს ერთის ვაგონის ქვეშ რაღაცა «მოძრავი არსება» შეუნიშნავთ. შეუტყობინებიათ უფროსისათვის და როდესაც ვაგონების ქვეშ შესულან, უნახავთ ერთი ცამეტის წლის ყმაწვილი გამურული და ტანისამოს შემოძარცული. ყმაწვილს ტირილით უამბნია, რომ ფული არა მქონდა, ჩემ ბიძასთან მინდოდა წასვლა, რომელიც ლანჩხუთის რკინის გზის სადგურზეაო და ბათუმშივე მოვექეცი ვაგონებს ქვეშაო. ყმაწვილის მოთხრობამ ისე მოულბო გული მსმენელთ, რომ ერთმა მათგანმა პური აჭამა და გზის ბილეთიც უყიდა ლანჩხუთამდისაო. ყველას უკვირდათ თურმე ამ ცამეტის წლის ყმაწვილის გაბედულობა. („ნოვ. ობოზ.“)

⁂ ბორჩალოს მაზრაში, ლორისის საპრისტაოში ამას წინედ დიდი სეტყვა ყოფილა და სულ ერთიანად წაუხდენია წლის მოსავალი. დაუსეტყვავს სოფელი ლეჯანისა, აკარანისა და სხვათა პურის ნათესები, 280 დღიური. ამ სეტყვამ მცხოვრებლებს 5,000 მანათზედ უმეტესი ზარალი მისცაო.

⁂ როგორც „ტფ. ფურ.“-ს გაუგია, ავჭალის ქუჩის მცხოვრებელნი თურმე აპირებენ საერთო თხოვნა შეიტანონ, სადაც ჯერ არს და სთხოვონ, რომ იმათის ქუჩიდგან გადატანილ იქმნას სადმე ავის ზნის ყოფაქცევ ქალთა საცხოვრებელი სახლი. ამავე ქუჩაზე, ამ სახლის მეზობლად, ბევრი პატიოსანი ოჯახობა ჰცხოვრობსო, ამბობს გაზეთი, იქავეა სასულიერო სასწავლებელი, მომრიგებელ სასამართლო და მე-2-რე კლასიკური გიმნაზიაო. ამ უკანასკნელს დროს ძალიანა სცდილობენ ამ ქუჩის მცხოვრებლები, როგორმე გადაატანინონ ეს სახლი, მაგრამ ჯერ-ჯერობით ყოველი მათი ცდა ვერაფერს ნაყოფს იძლევაო.

⁂ 15 აგვისტოს, ღამე, მე-3 ნაწილში, გოლოვინის პროსპექტზე თავად ზაქარია ჭავჭავაძის მსახურს, სიღნაღის მაზრის სოფ. ველის-ციხის გლეხს მიხეილ ჩიტაშვილს, მარტო რომ დარჩენილა, ღია ყუთიდგან მოუპარავს 200 მანათი და 20 მანათისაც ღვინო, ღვინის სარდაფი ღია დაუტოვებია და გაქცეულა. გამოძიება სწარმოებს. დამნაშავეს დაეძებენ.

⁂ მე-4 ნაწილში, სოლოლაკის ქუჩაზედ, 14 აგვისტოს, ღამის 11 საათზედ, ორდუბათის მცხოვრებელს რამაზან-მაშადი-ქიარიმ-ოღლის, 18 წლის ყმაწვილს, მოუკლავს ტფილისის მოქალაქე ქამანდაროვი, რომელთანაცა მოსამსახურეთ ყოფილა. ავაზაკობის ჩადენის შემდეგ, ოთახი გამოუკეტნია, რომელშიაც მკვდარი ქამანდაროვი გდებულა და გაქცეულა. ეს ამბავი მეორე დღეს, 15-ს აგვისტოს, $10\frac{1}{2}$ საათზედ გაუგიათ, გაუტეხიათ კარები და უნახავთ, რომ ქამანდაროვს ყელზედ თოკი ჰქონია შემოჭერილი და მუცელში ორ ალაგასა ყოფილა ხანჯლით დაჭრილი. ბრალდებული და იმის ამხანაგი, არეშის მაზრის ს. ალდაშის მცხოვრებელი მამედ-ჰაჯი-ყურბან-ოღლი შუა-დღის უკან, 5 საათზედ, პოლიციის მოხელეს სვიმონოვს შეუპყრია. ბრალდებულნი გამოტეხილან მკვლელობაში და დაუტუსაღებიათ. საქმე გამომძიებლისათვის გადაუციათ.

## ნაკვესი

ლევან დადიანი მურს იყო და ერთხელ ოტია ჩიქვანს გაუჯავრდა, გამოჩენილის ბერი გელოვანის დისწულს. ჯერ კარგად შერისხა იგი და შემდეგ მიუბრუნდა გელოვანს:

— ბერო, ამ შენს დისწულს ცოტა არ იყოს ჭკუა აკლიაო.

— არა, ბატონო, აკლია კი არა, სულაც არა აქვსო, მოახსენა მთავარს გელოვანმა.

ლელო

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. რუისი**, მარიამობისთვის 11-ს. რუისი მდებარეობს ქარელიდგან ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრით ხუთ ვერსზედ, სოფელი სამი ვერსის სიგრძეზედ არის გადაჭიმული, რომელსაც შუაგულზედ ჩამოუჩქრიალებს—უხსოვარ დროიდგან გამოყვანილი ლიახვის ტოტი «რუ», რომლის გამო, ჩემის აზრით, მიუღია სოფელს სახელ-წოდება: «რუ-ისი».

სოფელი შემკულია ბაღ-ვენახებით, სახნავ-სათესი საბალახოთი და საკმაო სარწყავის წყლით. მცხოვრებლები ხუთას კომლამდინ არიან; ამათში ორმოც კომლამდინ თავად-აზნაურობაა; ოთხმოც კომლამდინ სომხის სარწმუნოების ქართველი გლეხობაა და დანარჩენი მართლ-მადიდებელის სარწმუნოების გლეხობა. სოფელს აქვს პურის «მაღაზია», «გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობა» (ბანკი) და სასოფლო სკოლა. აკლიათ მხოლოდ სასოფლო დუქანი, «დეპო», რომელიც მართლა დიდ ნაკლს შეადგენს ამისთანა დიდის სოფლისათვის; „დეპოს“ უქონლობაზედ ყველა გლეხი ერთსა და იმავეს გეუბნებათ:

— „აბა რა ექნათ, შენი ჭირიმე, ბარემც ვიცით, რომ კარგია „დეპოი“—გამართვაც კი შეგვიძლია, მაგრამ ვის მივმართოთ საქონლის გამოსაწერად; ერთი გულის მისანდობიც არავინა გვყავს ქალაქშია.“

სოფლის გარშემო რამოდენიმე ძველი, გაუქმებული ეკლესიებია; ზოგი ამ ძველ ეკლესიათაგანი ჯერ კიდევ მკვიდრი და შეურყეველია, ჯერ კიდევ მკაცრ ბუნების მოვლენას და ადამიანთა ბოროტს ხელს ვერ ამოუფხვრია და გაუნადგურებია მშვენიერი ჩუქურთმები და ზედ წარწერანი. მეტადრე შესანიშნავია „დემეტრეს“ ეკლესია და მისი მდებარეობა, რომელიც მედიდურად, სიამაყით დასცქერის მთელს იმ მიდამოს; ამ ეკლესიიდამ სჩანს ათას-ფერად და ათასგვარად აჰყვავებული და აბიბინებული ჰალა-ტყე და ყანა-ველი; მთელი არემარე ხელის გულივით გადაგეშლებათ თვალ-წინ საციცინო მთებიდამ დაწყობილი კორტოხამდე და ჩრდილო-აღმოსავლეთით-კი მთელი ლიახვის და ქსნის ხეობა, რომელსაც მედიდურად დასცქერის თოვლით დაბამბული „ბურ-საჭირის“ მთები. ამ მშვენიერის სურათის დამნახველს უნებლიედ გაგონდებათ პოეტის სიტყვები:

„მე ქართველი ვარ! ჩემი სამშობლო
ორ ზღვას შუაა გადაჭიმული;
თუმც პატარაა, მაგრამ ბუნებით
ყოვლის სიმდიდრით არის შემკული;“

—

„მის დიდროვანი, მაღალი მთები—
შეხე!—თითქოს ცას ებჯინებიან
და იქიდგანა ტურფა ქვეყანას
სიამაყითა თავს დასცქერიან!“

უფრო მეტად საყურადღებო და შესანიშნავია „ფერის-ცვალობის“ ეკლესია, რომელშიაც წირვა-ლოცვა სრულდება, როგორც ძველის შესანიშნავის არხიტექტურით, ისე მრავალის ძვირფასის ჩუქურთმით და ზედწარწერით; შიგნიდგან გაულესიათ კირით და დაუფარავთ ყოველივე, გარდა იმ დიდის ჩუქურთმისა, რომელზედაც იწყება გუმბათი. რასაკვირველია, ძნელია ახლა მისი თქმა, თუ რამდენს მხატვრობას და ზედწარწერას იმსხვერპლებდა კირით გათხუპვნა...

გარედგან არ შეგვიძლიანთ ამ უზარმაზარს ტაძარს, ორი-სამი ადლის სივრცეზედ მაინც, არ შენიშნოთ კედლის ქვაზე რაიმე წარწერა. გარედგანაც, უმეტესი ნაწილი წარწერებისა, კირით ამოუვსიათ შებათქაშების დროს. აქებენ აგრეთვე ამ ეკლესიის მდიდარს ბიბლიოთეკას, რომლის გადასასინჯავად და გამოსაკვლევად საჭიროა ძველის მცოდნე კაცი. იმედია, რომ ჩვენი ძველ ნაშთთა გამომკვლევი, დიდად პატივცემული დიმიტრი ბაქრაძე, ან სხვა ვინმე არ დასტოვებენ ამ შესანიშნავს წარწერებსა და ბიბლიოთეკას უყურადღებოდ, რომელიც იმედია სხივს მოჰფენს ჩვენს სიბნელით მოცულ ისტორიას.

ამ ეკლესიის დღეობას—«ფერის-ცვალობას» დღესასწაულობენ 6-ს მარიამობისთვეს. ხალხი, როგორც კვლავ, წელსაც მრავლად დაესწრო; თემობამ მშვიდობით ჩაიარა და არავითარი ჩხუბი არ მომხდარა. თემს აფერადებდა როგორც ტფილისიდგან, ეგრეთვე სხვა ქალაქებიდგან და სოფლებიდგან მოსული ხალხი. ხალხის მხიარულობას და ალტაცებას საზღვარი არა ჰქონდა. უცხოს ეგონებოდა, თითქოს სრულებით კმაყოფილი... და ბედნიერი ხალხი დღესასწაულობს რაღაც საერო დღესასწაულსაო... თუმცა სამი დღე და ღამე არ შეწყვეტილა დაფა-ზურნა-დუდუკი და დაირა-ბუზიკის ხმა, მაგრამ უფრო შესანიშნავი იყო „ფერის-ცვალობის“ ღამე. სხვა-და-სხვა სოფლებიდგან მოსულ გლეხობას მიემატა მთელი რუისის გლეხ-კაცობა თავის სტუმრებით და ცოლ-შვილით. ჩვეულებისამებრ დასხდენ ირგვლივ ეზოშამზედა და გაიმართა საერთო მეჯლისი, აქ ვერ ნახავდით აჭრელებულს და გადაგვარებულს ქართველს, აქ აღარ ისმოდა ჭიპყინი არღნისა და ზურნისა... აქ ნახავდით მშვენიერს მოცეკვავეებს, რომელთაც არავითარი მანქვა და გადამეტება არ ეტყობოდათ. აქ ყოველგან მოისმოდა მშვენიერი «სუფრული» და სხვა მრავალი სამეჯლისო სიმღერები, რომელთაც ურთავდნენ მშვენიერს ხალხურს ლექსებს:

„მასპინძელ კარგად მასპინძლობს
გულითა მხიარულითა;
ახალი ჩექმა გაცვითა
სუფრაზედ სიარულითა.“ და სხვ.

ამავე დღეს აქაურის სკოლის მასწავლებელის ბ-ნ ნიკო საძაგლიშვილის მეცადინეობით იყო გამართული ლატარია აქაურის სახალხო ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. ლატარია მით უფრო იყო სასიამოვნო და შესანიშნავი, რომ მხურვალე მონაწილეობას იღებდა მთელი რუისის საზოგადოება, მეტადრე მანდილოსნები. სჩანს, რომ შეუგნიათ, თუ რა ძვირფასს საუნჯეს შეადგენს სოფლელებისათვის სულისა და გულის საუნჯე—«წიგნთ-საცავი» (ბიბლიოთეკა). სრული თანაგრძნობისა და მადლობის ღირსნი არიანო მაგრამ ამ მხურვალე მადლობასთან არ შემიძლია არ შევნიშნო აქაურს უმანდილო მანდილოსნებს: ლატარიის დროს დაბალი ხალხი ბევრი მოდიოდა, მაგრამ ხელ-ცარიელნი მიდიოდნენ, რადგანაც ერთმანერთისა არა ესმოდათ-რა; ხალხი ლაპარაკობდა თავის ენაზე და მოლატარიენი სხვაზედ; არაფერს შესცოდებდნენ, რომ ამ ჟამად ქართულზე ეკადრნათ ხალხთან ლაპარაკი. ჩვენ რომელიმე უცხო ენის შესწავლის წინააღმდეგი არა ვართ; ღმერთმა დაგვიხსნას, მაგრამ მეტის მეტიო, ცეტის ცეტიო, მოგეხსენებათ.

ლატარიიდგან შემოვიდა ექვს თუმნამდინ;—შემოსავალს კიდევ მოელიან. დასასრულ უნდა ვსთქვა, რომ ბედნიერია ის მასწავლებელი, რომელსაც ასე უანგაროდ შეიყვარებს ხალხი, როგორც უყვართ ბ-ნი ნ. საძაგლიშვილი და უფრო ბედნიერია ის სოფელი, რომელ სოფელსაც ეღირსება ასეთი დაუცხრომელი, უანგარო მოღვაწე მასწავლებლად და საზოგადოდ სასოფლო საქმეების წინამძღოლელი, როგორც ყოფილა თვით ხალხის სიტყვით და აზრით, პატივცემული მასწავლებელი.

ხსენებულმა მასწავლებელმა დააყენა მკვიდრს ნიადაგზედ სკოლის საქმე მით, რომ შეაგონა ხალხს სწავლის საჭიროება და მნიშვნელობა; გაუღვიძა მოზარდ თაობას კითხვისა და სწავლის სურვილი თავის განუწყვეტელის ქადაგებითა და მაღალის ზნეობითა, მოიმხრო მოსწავლეებად მდედრობითი სქესიც; ასე რომ ეხლა ქალებიც მრავლად დაიარებიან სასწავლებელში და სწავლობენ ერთად თავიანთს მოძმეებთან. მან წესში და რიგში მოიყვანა სრულებით არეული და აწეწილი რუისის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის (ბანკის) საქმეები; რომლის ფეხზედ დაყენებასაც კიდევ საკმაო შრომა დასჭირდება. იგი აარსებს, თითქმის დაარსებულადაც უნდა ჩაითვალოს, სახალხო საკითხავს (ბიბლიოთეკას), რომელიც თვალ-საჩინო ნაყოფს მოუტანს ხალხს. ეხლა, როგორც გავიგეთ, ეს პატივცემული მასწავლებელი თავს ანებებს აქაურობას და სხვა უმაღლეს ადგილზედ გადადის მასწავლებლადაო. გარდა ჯამაგირის სიმცირისა, უმთავრესი მიზეზი მისი გადასვლისა ის არისო—ამბობენ,—რომ სკოლა თუმცა კარგს ალაგას არისო, მაგრამ მეტად ნესტიანიაო, რომელიც ავნებს როგორც მას, აგრეთვე მოსწავლეთა ჯან-მთელობასაო. ნუთუ არ შეიძლება, რომ გადაკეთდეს?!

გარსო სიკოძე

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

ბედი მომეც და სანახვეზედ გადამაგდეო, იტყვიან ხოლმე იმ კაცზედ, რომელსაც დაუმსახურებლივაც-კი ფრიად ადვილად სახელი მოუხვეჭია და მაღალ-ხარისხოვანი, დიდებული შექმნილა. მაგრამ არა მგონია ესა სთქვას ვინმე ინგლისელ გაზეთების დამტარებელზედ, რობერტ კრეიტონზედ, რომელიც დღეს სანდვიჩევის კუნძულების კოროლს მინისტრად დაუნიშნავს.

კრეიტონი, ამბობს გაზეთი „Новости“, გაზეთის დამტარებელი იყო ლონდონშიო. ასე გასინჯეთ, ხანდახან ბანდეროლებს აკრავდა ხოლმე გაზეთებსაო. მაგრამ ამ საწყალს კაცს საგაზეთო ალღო ძრიელა ჰქონდა ალებული და დიდის ყურ-მახვილობით ჰკრებდა ახალ ამბებს ქუჩა-ქუჩა, როცა გაზეთი დაჰქონდა და ჯერ უამბობდა ხოლმე ახალ ამბებს რედაქტორს სიტყვიერად და მერე კიდევ უწერდაო და ამითი ცოტაოდენს ჯამაგირს იღებდაო.

შემდეგ კრეიტონი ასოთ ამწყობად წასულა ბელფასტში; თავისუფალ დროს წიგნები უკითხავს იქ და უწერია რიგიანი კორრესპონდენციები ლონდონის გაზეთებში. როცა ლონდონში დაბრუნებულა ასოთ-ამწყობი სიხარულით მიუღიათ რედაქტორებს და მეთაურის წერილების წერა მიუნდვიათ.

რაკი ამ გვარად ორიოდე გროში შეუგროვებია კრეიტონს, მაშინათვე თავის გულითადის განზრახვის შესრულებას შესდგომია. ეს განზრახვა თურმე ის იყო, რომ ავსტრალიაში გაზეთი დაეარსებინა. კრეიტონს მართლაც დაუარსებია გაზეთი ავსტრალიაში და ძალიან კარგი გაზეთიც ყოფილა, მაგრამ ამას არ დასჯერებია, ეს გაზეთი გაუყიდნია, წასულა კალიფორნიაში, იქ უცდია ბედი და იქიდამ განუზრახავს სანდვიჩევის კუნძულებზედ გადასვლა და კოროლის შემწეობით მოუნდომებია დიდის გაზეთის დაარსება. კოროლს უფიქრია: თუ კი ამ კაცს მართლა რაიმე სიკეთე ჰსურს ჩემის ქვეყნისათვის, იმის მაგიერ, რომ გაზეთში სიტყვით იქადაგოს ესა, ის არა სჯობიან, ბარემ საქმით შეასრულოსო. ამდგვარა კოროლი და მხნე, ნიჭიერი კრეიტონი მინისტრად დაუნიშნავს.

კრეიტონის აზრია, რომ კოროლის ქვეყანა ევროპას დაუახლოვოს და შეჰკრას ამ ქვეყანასთან სავაჭრო და პოლიტიკური კავშირიო. გაამართლებს თუ არა კოროლის იმედებს ახალი მინისტრი და შესძენს თუ არა ქვეყანას დაპირებულს სიმდიდრეს, ამის თქმა ჯერ ადრეა. მაგრამ კრეიტონს კი შეუძლიან სთქვას თავ-მოწონებით: მე ჩემი შევასრულე, გამოჩენილი ადგილი დავიჭირე, შევიძინე სიმდიდრე და... ხარისხი მათის აღმატებულებისა სანდვიჩევის კუნძულების მინისტრისაო. მოიფიქრებდა განა კრეიტონი 30 წლის წინად, როცა ხელის-მომწერთათვის დაჰქონდა პატარა გაზეთი და ახალ ამბებს აგროვებდა, რომ ასეთი ბედი ეღირსებოდა!!...

⁂

ერთს რუსეთის მეგაზეთესაც, ბ-ნს დიაკოვს, ანუ ნეზლობინს და ანუ კიდევ «Новое Время»-ს „Житель“-საც შეუძლიან დაიკვეხოს, რომ მეც ბევრი რამ გამოვცადე საგაზეთო მოღვაწეობის დროს და თუმცა თავის-თავის სამწუხაროდ ეს მოღვაწე მინისტრად ვერ შეიქმნა, მაგრამ სახელი კი მოიხვეჭა საშინელის სალახანასი და ყოვლად საძაგელის კაცისა.

ყველა ხომ კრეიტონისთანა ბედისა არ იქმნება. ზოგისა ბამბა ჩხრიალებს და ზოგისა არც კაკალიო. რა ნაირ არა სცადა ბედი ამ მაწანწალა პუბლიცისტმა! სად არ შეჰყო თავი: „Московс. Вѣд.“ გინდათ, «Нов. Время» გინდათ, სოფლის მასწავლებელობა გსურთ, სოციალისტების წრე, თუ რა საქმე, ან რა დაწესებულება. ყველგან შეჰყო ცხვირი ამ ავ-ზნიანმა კაცმა, ყველგან სცადა უკეთურის გზით სახელი და სიმდიდრე შეეძინა, მაგრამ ვერსად ვერ მოახერხა. ვის არ უნდა ახსოვდეს იმისი წერილები სამზღვარ გარეთის სოციალისტებზე, რომელიც იბეჭდებოდა ამ ხუთის წლის წინად მოსკოვის ჟურნალ «Русскій Вѣстникъ»-ში. აი ამ ნეზლობინს აუწყვეს განი ამ დღეებში «Новости»-ებმა და სუსხი რომ დაადგა, ასეთი დეპეშა მოსწერა ამ გაზეთის რედაქტორს:

დაუყოვნებლივ უარ-ჰყავით, რაც ჩემ გასაუპატიურებლად სიცრუე და ლანძღვა

დაგიწერიათ, თუ არა და მე თავად გაგისწორდებით, შეგხვდებით თუ არა.

ალექსანდრე დიაკოვი.

დიდის სიამოვნებით შეუსრულებდით სურვილს ბ-ნს დიაკოვსა (იგივე ნეზლობინი და იგივე „Житель"-ი), მაგრამ სამწუხაროდ არ შეგვიძლიანო.

„გაუპატიურება" იმასა ჰქვიან, როცა ტყუილად და უსაბუთოდ ლაქსა სცხებ პატიოსანს კაცსაო, ამბობს „Новости." ხოლო თუ ბ-ნი „Житель"-ი ნამდვილად ბრალეულია ყოველ-გვარს ავ-ზნეობაში, გაცარცვა-ც-კი მოუწადინია, ტყუილი პასპორტებიც უღდგენია და უკეთებია და თუ ყოველივე ეს დამტკიცებულია სასამართლოში, რაღა «გაუპატიურებაა» აქ პატიოსანის კაცისაო.

მართლა და ამის შემდეგ „Новости"-ებში დაბეჭდილია თვით ის საქმე დიაკოვისა, რომელიც, გაირჩა სასამართლოში და რომელიც დაბეჭდილი იყო თურმე წინად «Новое Время»-ში (1880 წლისა № 1455). საცა ბ-ნი «Житель»-ი ეხლა თანამშრომელი ბრძანდება და ვითომ საზოგადოებისთვისა მოღვაწეობს. ასეთი დაუნდობელია წუთი სოფელი: ზოგს ასოთ ამწყობლობიდამ მინისტრადა ჰხდის და ზოგს-კი მეგაზეთეობიდამ ლაფში აგდებს და სამარცხვინო ბოძზე აკრავს!

# დეპეშა

აგვისტოს 14-სა

**სოფია.** რადგან დროებითი მთავრობა სამსახურიდამ გადადგა, კარაველოვმა ახალი მთავრობა დააწესა. ნიკიფოროვი და სტამბულოვი რეგენტებად იქმნენ დანიშნულნი. მინისტრებად დაინიშნენ: სტოილოვი—გარეშე საქმეთა მინისტრად, როდოსლავოვი—შინაგან საქმეთა, ივანე გეშოვი—ფინანსთა მინისტრად, ერახანოვი—იუსტიციისა, პანოვი—სამხედრო მინისტრად, ფედორ იოვანიევი—საერო განათლების მინისტრად. ახალის მთავრობის დაწესების გამო კარაველოვმა მიჰმართა ბოლგარიის ერს წერილითა და ამბობს შემდეგს: რადგან ბოლონდელმა ამბებმა საშიშარს ყოფაში ჩააგდო ქვეყანა, რომელმაც არ იცის ხვალინდელი დღე რას მოიტანს და რადგან საჭიროა დავიხსნათ სამშობლო ამ გაჭირებულ მდგომარეობისაგან, მე, ბოლგარიის ერის იმედით, დავამკვიდრე მართველობა ქვეყნისა და ამისათვის ჩემის თავს-მჯდომარეობით დავაწესე მთავრობა ზემოხსენებულ წევრთაგან შემდგარი. აქ ამ ჟამად სრული მშვიდობიანობაა.

დაბა და სოფლებიდამ ისეთი ამბები მოდის, რომ უნდა ვიფიქროთ, ერი ერთ-ხმად მიემხრობა ახალს მთავრობასაო.

ახალმა სამინისტრომ ცირკულიარი გაუგზავნა დიპლომატებურს აგენტებსა და სთხოვს, შეიწყნარეთ ახალი მთავრობა ბოლგარიისაო, დაწესებული მთავრის გადაყენების შემდეგაო.

ბოლგარიის სამინისტრო გადადგა, რადგან დაბა-სოფლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს. ჯარი მიემხრო ახალს მთავრობას.

**სტამბოლი.** „რეიტერის" სააგენტოს დეპეშა გვაუწყებს, რომ ბოლგარიის ამბების გამო, ოსმალეთის სამხედრო მინისტრი რედიფებს აღარ აჰყრის თოფ-იარაღსაო და აღარ დაითხოვს თავ-თავის სახლშიო, ამას გარდა მინისტრმა უბრძანა მაკედონიის მხედართ-მთავარს უსკუბისკენ გაემართეო და ალი-ფაშა დანიშნა სალონიკის გენერალ-გუბერნატორად, ჰასანა ფაშის მაგიერ. რაიცა შეეხება კერძოდ ბოლგარიის საქმეებსა, ოსმალეთი ჯერ-ჯერობით ვერაფერს ვერ იტყვის და ვერ გადასწყვეტავსო, ვიდრე დიდთა სახელმწიფოთა პასუხი არ მოვა უკანასკნელის ცირკულიარისაო.

ფილიპოპოლიდამ 12-ს აგვისტოს მოსული ამბები კვლავ განმეორებაა იმისი, რომ ერი და ყველა ჯარები რუმელიისა გულითა და სულით ალექსანდრე მთავრის მომხრენი არიანო. პოლკოვნიკმა მუტკაროვმა დაბეჭდა პროკლამაცია და ამ პროკლამაციით იწვევს ერს მთავრის პატივისა და ბოლგარიის დასაცველად. სრული მშვიდობიანობაა ყველგანაო.

**ფრანცენსბადი.** დღეს, შუადღის უკან მობრძანდა თავ. ბისმარკი. რკინის გზის სადგურზე მიეგება სტატს-სეკრეტარი გირსი და მისი ოჯახობა. 5 საათზე ბისმარკი ისადილებს რუსეთის გარეშე საქმეთა მინისტრთან. მინისტრის სანახავად აქ მოვიდნენ რუსეთის ელჩნი ლონდონისა და პარიჟისა.

**ფრანკფურტი.** იუგენგეიმიდამ, საცა ბოლგარიის მთავრად ნამყოფის ალექსანდრეს მამა სცხოვრებს, მოვიდა ამბავი, რომ ალექსანდრე გზაშია და ბრესლავს მიემგზავრება ამ ჟამადაო.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 2½-იდამ 3½%-დე.

15 აგვისტოს

**ნიჟნი-ნოვგოროდი,** 14 აგვისტოს, ხუთშაბათს საღამოს. იარმუკაზე ვაჭრობა საკმაოდ რიგიანად მიდის; მაგრამ ზოგიერთის საქონლისას ჯერ კაცი ვერას გაიგებს. ჩაი შარშანდელ ფასად ისყიდება; დაბალის ღირსების ჩაის ძალიან ყიდულობენ. ფარჩეულობა იმ ფასად ისყიდება, როგორც მოსკოვში, მხოლოდ გადასატან ფასს არ უმატებენ; კარგად ისყიდება სუფთა მაუდები, მატყლი, კურდღლის ბეწვი და სხვ., ნაკვერი რკინა ფურცლობითა შარშანდელ ფასად ისყიდება; თევზის ფასი ჯერ ნამდვილად არ დამკვიდრდა. პირნახულს საიმისოდ არავინ ჰყიდულობს.

სორმოვოში 13 აგვისტოს გემს წაეკიდა ცეცხლი. დაიწვა „Тихвинка" კონეცკისა და 118 ბოჩკა ნავთით სავსე.

**პეტერბურგი.** გუბერნატორების ცნობებიდამ წლევანდელის მოსავლის თაობაზედ სჩანს, რომ მოსავალი საზოგადოდ წელს რიგიანი ყოფილა; ზოგან კარგი მოსავალი მოსულა; მხოლოდ თითო-ოროლა ალაგას წამხდარა პირნახულები; ბევრს გუბერნიაში მოსავალს ვერ უვლიან განუწყვეტელის წვიმების გამო; გოლვა ათსში ერთგან თუ არისო. სეტყვას ძალიან მცირე ზარალი მიუცია წელს საზოგადოდ ქვეყნისათვის; მავნებელნი მწერნიც მცირედა სჩანდნენო.

«Journal de St.-Pétersbourg»-ი ჰკითხულობს, დიდხანს გასტანს ბოლგარიაში რეგენტობა, რომელიც კონსტიტუციის თანახმად იქმნა დაარსებულიო, როგორც გვარწმუნებენ სოფიიდამ გამოგზავნილი დეპეშებიო, მოახერხებს რეგენტობა, რომ დაიცვას წესიერება და იძულებული გახადოს ჯარი, რათა პატივით მოექცეს მის განკარგულებასაო? უნდა იმედი გვქონდეს ამისიო. ქვეყნის სარგებლობისათვის საჭიროა ეს იმედი ვიქონიოთო, იმ ქვეყნის სარგებლობისათვის, რომელსაც ანარქიისა და უწესოების შიში მოელისო და ყველა იმ უბედურობისაგან იტანჯება, რომელიც აუცილებელია ამ გვარს განურკვეველს ყოფაშიო. ის დიდი სახელმწიფო, რომელსაც მიმართა სოფიის სამინისტრომ, რასაკვირველია, თავის ზრუნვას არ მოაკლებს; მაგრამ თვით ბოლგარიამ უნდა დაიმსახუროს ეს ზრუნვა მით, რომ უნდა დაიცვას გარეგნობით მაინც წესიერება იმ დრომდე, ვიდრე მისი ბედი გადასწყდებაო. შემდეგ გაზეთი ამბობს, რომ გერმანიისა და ავსტრიის გაზეთებიც-კი არა მალავენ, რომ ალექსანდრე მთავრის გადაყენება ტახტიდამ საქმის გარემოებამ გამოიწვიაო და ამის გამო შეიძლება დამშვიდებული ვუცქიროთ აღმოსავლეთის ამბებსაო. ბოლოს «Jourual de St-Petérsbourg»-ი ამბობს, რომ სამი დიდი სახელმწიფო ეხლა უფრო მსურველია ვიდრე ოდესმე, მშვიდობიანობა დამყარდეს და ერთს ალაგას შესდგეს, თუ რამ მოსალოდნელია დუნაის ნაპირას მდებარე ქვეყნებშიო. ფრანცენსბადში ბისმარკის და გირსის მიერ ერმანერთის ნახვამ უფრო უნდა დაგვაჯეროს, რომ საქმე ასეაო. ეს კიდევ ახალი საბუთია იმისი, რომ საიმპერატორო მთავრობათა გარდასწყვიტეს, თანხმობით იმოქმედონ, არ აჰყვნენ ამბებსა და ფაქტებს, არამედ განაგონ და ჰმართონ იგინი საყოველთაო მშვიდობიანობის დასამყარებლადაო.

**ფრანცენსბადი.** მობრძანდა თუ არა თავ. ბისმარკი, დაუყოვნებლივ ინახულა სტატს-სეკრეტარი გირსი და დიდხანს ითათბირა მასთან. სადილს შემდეგ გერმანიის კანცლერი და მისი მეუღლე დიდხანს ბრძანდებოდნენ აივანზე სტატს-სეკრეტარ გირსთანა და მის ოჯახობასთან. დაბრუნდნენ სასტუმროში მხოლოდ 8 საათზე.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ფერგიუსსონმა სთქვა, რომ სოფიის დეპეშების სიტყვით, კარაველოვმა უარი სთქვა და ალექსანდრე მთავრის გადაყენებაში მონაწილეობა არ მიიღო, ხოლო ეხლა მთავრობის მოთავედ დადგაო; მთავრის გადაყენების მომხდენნი ამ ჟამად დატუსაღებულნი არიანო. როცა მთავარი რენში მიიყვანეს, სრული თავისუფლება მიანიჭეს და მან განიზრახა დარმშტადს წასვლა. უკანასკნელად რაც მოხდა ბოლგარიაში, მთავარმა ალექსანდრემ არ იცოდა, როცა რენში მოიყვანესო. ფერგიუსსონმა სთქვა კიდევ, რომ ბათუმის საქმეს ეხლანდელი კაბინეთი ბრიტანიისა ისევე უცქერის, როგორც წინანდელი უყურებდაო.

16 აგვისტოს

**ლვოვი.** გუშინ აქ მობრძანდა ტახტიდამ გადაყენებული თავადი ბოლგარიისა ალექსანდრე ბატტენბერგი და დღესვე აპირებს ბრესლავს წაბრძანებას. ავსტრიის ჯარების გალიჩინის მხედართ-მთავარმა ჰერცოგმა ვიტემბერგსკიმ ინახულა თავადი.

**ბერლინი.** თავადი ბისმარკი დაბრუნდა ბერლინში.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია.
ქვეყნის შექმნიდამ **7394**.
ძველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

**17 დღე კვირა.** მოწ. მირონისა. კათოლ. მე-8 დღე. წმ. ლავრენტის წამებისა. სომეხ. მიცვალება წმ. მღვთის-მშობლისა. ყურძნის კურთხევა. ამ დღიდგან 9 დღე ნახატონაქი აქვსთ. დღესასწაული ფეთხაინის ეკკლესიაში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—47. ტფილისში მზე ამოდის 5—22, ჩადის 6—39; მთვარე ამოდის 5—13, ჩადის 6—20.

**18 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. ფლორესი, ლავრესი და სხ. კათოლ. წმ. ალმსაარ. როხისა. სომეხ. ჰიშატაკ მერელოცი და ნახატონაქი. მუსულ. 1 რიცხვი ზილჰიჯას თვისა, 1303 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—29. ტფილისში მზე ამოდის 5—23, ჩადის 6—38; მთვარე ამოდის 6—27, ჩადის 7—0.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

| | |
|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 2½ |
| » » 2 » | 2 » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 4½ » |
| » » 2— | 3 » |
| » » 3 » | 2½ » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4½ » |
| მე-2 ხარისხისა . . | 3½ » |
| მე-3 — . . . | 3 » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 » |
| « » 2 | 6 » |
| სუკი . . . . | 12 » |
| ცხვრის ხორცი . . . | 6 » |

# განცხადებანი

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელი.

მაქვს პატივი ვაცნობო ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა, რომელთაც ჰსურთ შვილები მიაბარონ რწმუნებულს ჩემდამი **სათავად-აზნაურო სასწავლებელში**, რომ მომავალის ენკენისთვისათვის მოსამზადებელის კლასის პირველს განყოფილებაში **ოც-და-ათი ვაკანსია** არის თავისუფალი, რომლებზედაც მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ შვიდის წლის ყმაწვილები. რამდენსამე შარშანდელს მოსწავლეს ამ განყოფილებისას კიდევ ექმნებათ ეგზამენი აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში და, თუ ისინი გადაყვანილ იქმნენ შემდეგ განყოფილებაში, იმ შემთხვევაში 30-ს ვაკანსიას კიდევ მოემატება რამდენიმე ვაკანსია.

მოსამზადებელის კლასის სხვა განყოფილებაში ყველა ვაკანსიები დაკავებულია და ვერავის მივიღებთ ამ წელიწადში. მესამე პროგიმნაზიულს კლასშია **ხუთი ვაკანსია** და ამ ვაკანსიების დაჭერა შეუძლიანთ თოთხმეტის წლის ყმაწვილებს, რომელნიც ამ კლასის შესაფერად მომზადებულნი აღმოჩნდებიან.

თხოვნა და საბუთები (წლოვანობის მოწმობა და აზნაურობისა, ან ბანკში მონაწილეობისა) ერთად უნდა შემოიტანონ სასწავლებლის მმართველის სახელზედ აგვისტოს 15 რიცხვიდგან. ყმაწვილების მიღების საქმე გარდაწყდება აგვისტოს უკანასკნელს რიცხვს.

სასწავლებლის მმართველი
(8—7) ა. ჭიჭინაძე.

ПАНСИОНИ — **პანსიონი ალექსანდრა იაკოვლევნა ლისენკოსი გადავიდა** ვოდოვოზნი ქუჩაზედ, კადეცკი კორპუსის მახლობლივ, არცაზოვის სახლში № 12. (6—4)

## ახალი წიგნი

(რუსულს ენაზედ)

„კერძო და საადგილ-მამულო უფლებანი ძველს საქართველოში". I გამოცემა. ფასი 35 კაპ. ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში. (50—7)

# საკომერციო კურსები

## ქალებისა და ვაჟებისათვის

### წელიწადი მეხუთე

კურების დანიშნულებას ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებსა და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნენი.

1886—87 სამოსწავლოს წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) **საკომერციო ეკონომია**, 2) **საკომერციო არითმეტიკა**, 3) **ბუხგალტერია** (მარტივი, ორ-კეცი და საბანკო), 4) **არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქით**, 5) **საკომერციო მიწერ-მოწერა**, 6) **სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი**, 7) მსწრაფლ-წერა და წერა **გარკვეული და შნოიანი**.

სწავლა დაიწყობა 15 სექტემბრიდამ, ახლად შემოსასვლელთა მიღება დაიწყობა 25 აგვისტოდამ ყოველ დღე საღამოს 5 საათიდამ 8 საათამდე კურსების სადგომში, **სოლოლაკში, ლაბორატორის ქუჩაზედ, № 11.**

პროგრამები და წესები კურსებისა **უსასყიდლოდ** შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და ძმათა წოვიანოვების საბანკირო კანტორაში სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრებს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელს **ს. ვ. მანუელიანცს** ტფილისს. (11—7)

Дозволено цензурою. Тифлисъ 16 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.